თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3/3
2011 წლის 18 თებერვალი
ქ. თეთრიწყარო
სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ” ქვეპუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება №4/2 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 აპრილის დადგენილება №5/3 - ვებგვერდი, 18.04.2011 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 აპრილის დადგენილება №5/3 - ვებგვერდი, 18.04.2011 წ.

1. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი 1).

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება №4/2 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 აპრილის დადგენილება №5/3 - ვებგვერდი, 18.04.2011 წ.

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2010 წლის 29 იანვრის №1/5 დადგენილება.
2. დადგენილება ძალაშია კანონმდებლობის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. მესტვირიშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება №4/2 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 აპრილის დადგენილება №5/3 - ვებგვერდი, 18.04.2011 წ.

დანართი 1

სახელმწიფო და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

მუხლი 1

სახელმწიფო და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი გამოიანგარიშება

შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_n = I_{mG} I_{TL} X C X K$, სადაც:

ა) C_n არის 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{mG} არის შესაბამისი დასახელების მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც ქ. თეთრიწყაროსათვის 0.23-ის ტოლია;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს;

დ) C არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 კვ.მ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა 0.24 ლარის ტოლია;

ე) K არის შესაბამისი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს _ საკრებულოს მიერ დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომელიც უდრის 90-ს.

მუხლი 2

პირველი მუხლის მიხედვით ქ.თეთრიწყაროში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{mG}	I_{TL}	C	K	C_n (ლარი)
0.23	1	0.24	90	4.968

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება №4/2 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 აპრილის დადგენილება №5/3 - ვებგვერდი, 18.04.2011 წ.

მუხლი 3

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

ა) დაბა მანგლისში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს ქ.თეთრიწყაროსათვის დადგენილი ფასის ოდენობით, რაც შეადგენს 4.968 ლარს.

ბ) სოფლებში და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ.თეთრიწყაროსათვის დადგენილი ფასის 50 %-ის ოდენობით, რაც შეადგენს 2.484 ლარს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება №4/2 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 აპრილის დადგენილება №5/3 - ვებგვერდი, 18.04.2011 წ.